აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 5

29/08/2024 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ შემოკლებული დასახელება „გირჩი“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის პირველი, 1^1 და მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-10 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ (შემოკლებული დასახელება: „გირჩი“) თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 28 აგვისტოს წარმოდგენილი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/39) განცხადების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება **„ახალი პოლიტიკური ცენტრი“** (შემოკლებული დასახელება **„გირჩი“**) საარჩევნო სახელწოდებით: **გირჩი** და მისი წარმომადგენელი **ბორის სოლომონია.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე